



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 425/ს
22/08/2023

425-21-4-202308221305



გურჯაანის მუნიციპალიტეტში, ვაზისუბნის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე წელიწადში 1 971 369 მ³ მოცულობის მიწისქვეშა მტკნარი წყლის კომუნალური და სოფლის წყალსადენებისათვის გამოყენების მიზნით მოპოვებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს მიერ, გზმ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია გურჯაანის მუნიციპალიტეტში, ვაზისუბნის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე წელიწადში 1 971 369 მ³ მოცულობის მიწისქვეშა მტკნარი წყლის კომუნალური და სოფლის წყალსადენებისათვის გამოყენების მიზნით მოპოვების სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სალიცენზიო ობიექტი, წარმოადგენს სოფ. ვაზისუბნის სათავე ნაგებობას, რომელიც ვრცელდება მდ. ალაზნის მარჯვენა მხარეს. აღნიშნული სათავე ნაგებობა წარმოდგენილია სადრენაჟე სისტემის სახით და ზედაპირზე ასახულია 6 შახტური ჭის კომპლექსით. აღნიშნულ შახტურ ჭებს გააჩნია საერთო ფუნდამენტი და ერთმანეთთან დაკავშირებულია ზიარი ჭურჭლის პრინციპით, საიდანაც მიღების საშუალებით წყლის შეკრება ხდება იზოლირებულ რეზერვუარში. წიაღისეულისარგებლობის ობიექტი განთავსებულია ზღვის დონიდან 265-266 მეტრ სიმაღლეზე (GPS კოორდინატებია: X-566217, Y-4634931). მონაცემთა ელექტრონული გადამოწმების შედეგად დგინდება, რომ სალიცენზიო ობიექტიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია დაახლოებით 3 700 მეტრით.

სკრინინგის განცხადების თანახმად, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში გათვალისწინებულია არსებული სადრენაჟე სისტემიდან წელიწადში 1 971 369 მ³ მოცულობის მიწისქვეშა მტკნარი წყლის კომუნალური და სოფლის წყალსადენებისათვის გამოყენების მიზნით მოპოვება და ლიცენზიის გაცემის ვადად განსაზღვრულია 25 წელი.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, ჰიდროლოგიური დარაიონების თვალსაზრისით, წიაღისეულისარგებლობის ობიექტის ტერიტორია მიეკუთვნება ფოროვანი, ნაპრალოური და ნაპრალოურ-კარსტული წყლების ალაზნის არტეზიულ აუზს. წყალშემცველ ჰორიზონტს წარმოადგენს ალაზნის სერია, რომელიც იყოფა ქვედა, შუა და ზედა ნაწილებად და ხასიათდება წყალგამტარი და შედარებით წყალგაუმტარი ფენების მორიგეობით, რომლებშიც 550 მეტრ სიღრმემდე გამოყოფილია ორი - ქვედა „გურჯაანის“ და ზედა „თელავის“ წყალშემცველი ჰორიზონტები. „გურჯაანის“ ჰორიზონტი შედგება რამოდენიმე ფენისგან, რომელთა საერთო სიმძლავრე მერყეობს 1-დან 62 მეტრამდე. ისინი ლითოლოგიურად არაერთგვაროვანია და წარმოდგენილია სხვადასხვა მარცვლოვანი

ქვიშაქვების, კვარცოვანი კარგად დამუშავებული ქვარგვალეებით შედგენილი კაჭარ-კენჭნარით, არგილიტებით, იშვიათად - კირქვებით, ფიქლებით და ქვიშებით. შედარებით წყალგაუმტარი ქანები ძირითადად წარმოდგენილია რუხი, ყვითელი და ცისფერი თიხებით. „თელავის“ წყალშემცველ ჰორიზონტს ძირითადად მიეკუთვნება ალაზნის სერიის ზედა ნაწილი და ნაწილობრივ, შესაძლებელია მეოთხეული ნალექებიც. ეს ჰორიზონტი შეიცავს 1-2, ზოგჯერ 3-4 წყალშემცველ ფენას და იგი წარმოდგენილია კაჭარ-კენჭნარით, ქვიშის და ქვიშაგრაველიტის შემავსებლით და ნაპრალოვანი კონგლომერატებით. „თელავის“ ჰორიზონტის წყალშემცველობა არაერთგვაროვანია, მასში გაყვანილი ჭაბურღილების დებიტები მერყეობს 0.2-დან 60 ლ/წმ-მდე.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით, საპროექტო ტერიტორია მიეკუთვნება I (მარტივი) სირთულის კატეგორიას. წიაღისეულის საგებლობის ობიექტის გეოდინამიკური სიტუაცია სტაბილურია და ექსპლუატაციის ეტაპზე გართულებები მოსალოდნელი არ არის.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ალაზნის არტეზიული აუზის მიწისქვეშა წყლები შესწავლილია პროგნოზული საექსპლუატაციო მარაგების შეფასების სტადიაზე. სალიცენზიო ობიექტის ზუსტი დებიტი უცნობია, თუმცა, ჰორიზონტის წყალშემცველობის ხარისხის გათვალისწინებით, არსებული სადრენაჟე სისტემიდან წელიწადში 1 971 369 მ³ მოცულობის მიწისქვეშა მტკნარი წყლის მიღება შესაძლებელია. წიაღისეულის საგებლობის ობიექტის საექსპლუატაციო მარაგი დამტკიცებული არ არის და იგი წარმოდგენილია P (პროგნოზული) კატეგორიით.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, ალაზნის არტეზიული აუზის წყლები, ქიმიური შედგენილობის მიხედვით, დაყოფილია სამ ტიპად. მეორე ტიპის წყლები მოიცავენ, თელავის და ყვარლის ჰორიზონტების ნაწილს და გურჯაანის ჰორიზონტს მთლიანად. ამ წყლების საერთო მინერალიზაცია ცვალებადობს 0.6-1.0 გ/ლ-ის ფარგლებში. ქიმიური შედგენილობის მიხედვით ისინი ჰიდროკარბონატულ-ქლორიდულნატრიუმთან-კალციუმთან, ქლორიდულ-ჰიდროკარბონატულ-ნატრიუმთან-კალციუმთან, ჰიდროკარბონატულ-კალციუმთან-ნატრიუმთან, ჰიდროკარბონატულ-სულფატურ - კალციუმთან-ნატრიუმთან-მაგნიუმთან და ჰიდროკარბონატულ-სულფატურ-ქლორიდულ-ნატრიუმთან-კალციუმთან ტიპისაა. მიწისქვეშა წყლების სიხისტე 1.0-6.5 მგ/ექვ-ის, ხოლო წყალბადიონების კონცენტრაცია 7-7.8 -ის ფარგლებში მერყეობს. ჰალოგენური ელემენტებიდან აღმოჩენილია იოდი 0.005-0.333 მგ/ლ. გაზური შემადგენლობიდან გვხვდება თავისუფალი ნახშიროჟანგი და ამიაკი შესაბამისად 6.6-22.0 მგ/ლ და 0.2-0.4 მგ/ლ. გურჯაანის ჰორიზონტის წყლები უმნიშვნელო რაოდენობით შეიცავს გოგირდწყალბადს (0.8-დან 4.0 მგ/ლ-მდე), რომელიც მის სასმელ თვისებებზე არ მოქმედებს, რადგან სწრაფად აქროლადია. მიწისქვეშა მტკნარი წყლების ტემპერატურა მერყეობს 13.6-19.80°C-ის ფარგლებში და მათი სანიტარული მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, სალიცენზიო ობიექტი შემოღობილია და საჭიროებს მხოლოდ დასუფთავებას, შესაბამისად, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში სამშენებლო სამუშაოების განხორციელება გათვალისწინებული არ არის.

სკრინინგის განცხადების თანახმად, სალიცენზიო ობიექტი არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ასევე, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. ამასთან, ვინაიდან, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება

დაგეგმილია არსებული სათავე ნაგებობიდან, საქმიანობის განხორციელება არ იქნება დაკავშირებული სამშენებლო სამუშაოების განხორციელებასთან, ახალი ტერიტორიის ათვისებასთან და გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მოსალოდნელ ზემოქმედებასთან.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვების პროცესში ნარჩენების წარმოქმნა, ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე/გრუნტზე და მცენარეულ საფარზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, სალიცენზიო ობიექტიდან მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება არ იქნება დაკავშირებული ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე და ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელ, ასევე, კუმულაციურ ზემოქმედებასთან.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ბუნებრივი რესურსებიდან გამოყენებული იქნება წყალი. წიაღით (წყლით) სარგებლობის სალიცენზიო პირობების განხორციელებით, რომელსაც ადგენს ლიცენზიის გამცემი ორგანო, დაგეგმილი საქმიანობა არ გამოიწვევს წყლის გარემოს დაბინძურებას.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება განთავსდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გადაიგზავნა გურჯაანის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით, წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და ამავე კოდექსის მე-II დანართის მე-2 პუნქტის 2.2 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ გურჯაანის მუნიციპალიტეტში, ვაზისუბნის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე წელიწადში 1 971 369 მ³ მოცულობის მიწისქვეშა მტკნარი წყლის კომუნალური და სოფლის წყალსადენებისათვის გამოყენების მიზნით მოპოვება არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სსიპ მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოსა და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალსა და გურჯაანის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12

კმ. №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ვასილ გედევანიშვილი



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

